

## პ რ ე ს რ ე ლ ი ზ ი

2018 წლის 13 მარტს 12:00 საათზე, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“, გაიმართება პროექტის “ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება ეფექტიანი მმართველობისათვის“ გახსნის ცერემონია, სადაც დამსწრე საზოგადოებას, საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე, ზაზა გაბუნია გახსნითი სიტყვით მიმართავს.

აღნიშული პროექტის პრეზენტაციას ასევე დაესწრებიან პარლამენტის და მთავრობის წარმომადგენლები.

ორწლიანი პროექტი მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს საქართველოში კარგი მმართველობის, ანგარიშვალდებულების და ინკლუზიური საჯარო პოლიტიკის ფორმირებას, რომელიც მოიცავს ძლიერ სამოქალაქო საზოგადოებას ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე.

პროექტის განმახორციელებელი პარტნიორებია: World Vision საქართველო, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია და საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია.